კვლევის ანგარიში

მიზნობრივ თემებში
ბიოდეგრადირებადი და სპეციფიკური ნარჩენის
მართვის მდგომარეობის შეფასება

თბილისი

2019

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 2
გამოკითხვის მიზნები და კითხვარის შინაარსი 4
1. ნარჩენების იდენტიფიკაცია 4
2. ნარჩენების რაოდენობა და შემადგენლობა 5
3. ნარჩენების მოცილების არსებული პრაქტიკა 5
4. ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება 5
5. ნარჩენები გარემოში 6
6. ნარჩენების მოგროვება 6
გამოკითხვის შედეგები 8
0. დემოგრაფიული ბლოკი 7
1. ნარჩენების იდენტიფიკაცია 8
2. ნარჩენების რაოდენობა და შემადგენლობა 10
3. ნარჩენების მოცილების არსებული პრაქტიკა 12
4. ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება 13
5. ნარჩენები გარემოში 16
6. ნარჩენების მოგროვება 18
დასკვნები 20

დიაგრამები:

დიაგრამა 1-1ტერმინის ცნობადობა: "ბიოდეგრადირებადი ნარჩენი" 9
დიაგრამა 1-2 ტერმინის ცნობადობა\ "სპეციფიკური ნარჩენი" 9
დიაგრამა 1-3 ბიოდეგრადირებადი ნარჩენების იდენტიფიცირება 9
დიაგრამა 1-4 სპეციფიკური ნარჩენების იდენტიფიცირება 10
დიაგრამა 2-1 ნარჩენების ოდენობა სეზონის მიხედვით 10
დიაგრამა 2-2 ნარჩენების ოდენობა თვეების მიხედვით 11
დიაგრამა 2-3 ეზოს ნარჩენების ოდენობა 11
დიაგრამა 2-4 სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენების ოდენობა 12
დიაგრამა 3-1 საკვები ნარჩენის მოცილების ხერხები 12
დიაგრამა 3-2 ნარჩენების მოცილება ეზოდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 13
დიაგრამა 3-3 სპეციფიკური ნარჩენის (საბურავის) მოცილების ხერხები 13
დიაგრამა 4-1 შინამეურნეობებში ნარჩენების დახარისხების და გადამუშავების მიზეზები 14
დიაგრამა 4-2 შინამეურნეობების მიერ ნარჩენების დახარისხების და გადამუშავების გამოუყენებლობის მიზეზები 14
დიაგრამა 4-3 კომპოსტირების ცნობადობა 15
დიაგრამა 4-4 კომპოსტირების თაობაზე ინფორმაციის წყარო 15
დიაგრამა 4-5 ნარჩენების რეციკლირების შესაძლებლობები 16
დიაგრამა 5-1 სისუფთავე თემში 16
დიაგრამა 5-2 პასუხისმგებლობა სისუფთავეზე 17
დიაგრამა 5-3 არალეგალური ნაგავსაყრელების არსებობა 17
დიაგრამა 5-4 არალეგალური ნაგავსაყრელების სახიფათოობა 18
დიაგრამა 5-5 სტიქიური ნაგავსაყრელებიდან გარემოს ფაქტორების დაბინძურება 18
დიაგრამა 6-1 ნარჩენების მოგროვება-გატანის სერვისები 19

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა შესრულდა მხოლოდ მიზნობრივ თემებსა და სოფლებში და არ მოიცავს ინფორმაციას საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტების შესახებ.

კვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს

შერჩევის მოცულობა: 906 რესპონდენტი

რეგიონები: კახეთი, სამეგრელო, გურია

მუნიციპალიტეტები:

- **კახეთი:** ყვარელი, თელავი, ახმეტა, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო.
- **სამეგრელო:** აბაშა, სენაკი, ხობი, ჩხოროწყუ.
- **გურია:** ოზურგეთი

სოფლები:

- **კახეთი:** ენისელი, შილდა, გრემი, შრომა, კავშირი, საბუე, ნაფარეული, ქვემო ხოდაშენი, ოჟიო, ფშაველი, ჯოყოლო, ქვემო ალვანი, ზემო ალვანი, ფიცხოვანი, ვარდისუბანი, ნინიგორი, ლელიანი, გვიმრიანი, ბალღოჯიანი, ცოდნისკარი, დავითიანი, მაწიმი, კართუბანი, აფენი, ზემო ქედი, ხორნაბუჯი, არბოშიკი, ჰერეთისკარი, ქვემო ქედი.
- **სამეგრელო:** სამიქაო, მაიდანი, გეზათი, პირველი მაისი, ხეთა, მეხური, დაბა ჩხოროწყუ, ხაბუმე, თორსა, ხამისკური, ლეძაძამე, ნოქალაქევი, სორტა.
- **გურია:** ბაილეთი, ნატანები, მერია, ჯუმათი.

ინეტრიუების რაოდენობა სოფლების მიხედვით:

	სოფლები	ინტერვიუ
1	ენისელი	27
2	შილდა	20
3	გრემი	20
4	შრომა	25
5	კავშირი	4
6	საბუე	17
7	ნაფარეული	27
8	ქვემო ხოდაშენი	30
9	ოჟიო	5
10	ფშაველი	23

11	ჯოყოლო	25
12	ქვემო ალვანი	27
13	ზემო ალვანი	20
14	ფიცხოვანი	2
15	ვარდისუბანი	28
16	ნინიგორი	24
17	ლელიანი	20
18	გვიმრიანი	1
19	ბალღოჯიანი	1
20	ცოდმისკარი	30
21	დავითიანი	1
22	მაწიმი	20
23	კართუბანი	30
24	აფენი	33
25	ზემო ქედი	28
26	ხორნაბუჯი	29
27	არბოშიკი	30
28	ჰერეთისკარი	30
29	ქვემო ქედი	28
30	სამიქაო	34
31	მაიდანი	7
32	გეზათი	2
33	პირველი მაისი	20
34	ხეთა	30
35	მეხური	20
36	დაბა ჩხოროწყუ	21
37	ხაბუმე	20
38	თორსა	25
39	ხამისკური	21
40	ლეძაძამე	5
41	ნოქალაქევი	13
42	სორტა	2
43	ბაილეთი	15
44	ნატანები	20
45	მერია	21
46	ჯუმათი	21
	სულ გამოკითხული	**906**

საველე სამუშაოები 28 დღის განმავლობაში გაგრძელდა და მასში ჩართული იყო 79 ინტერვიუერი და 4 სუპერვაიზორი.

მონაცემები ელექტრონულად დამუშავდა IBM SPSS Statistic Viewer კომპიუტერული პროგრამით.

გამოკითხვის მიზნები და კითხვარის შინაარსი

საქართველოში ნარჩენების სწორი მართვის მექანიზმებს ამჟამად ეყრება საფუძველი. 2014 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ნარჩენების მართვის კოდექსი, ხოლო 2016 წლიდან - ნარჩენების მართვის 15-წლიანი ეროვნული სტრატეგია და 5-წლიანი ეროვნული გეგმა. 2017-18 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმები. 2019 წლის ბოლომდე საქართველოში ნარჩენების მართვის შემდგომი გაუმჯობესების ორი მნიშვნელოვანი ეტაპია გათვალისწინებული

- მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რომელიც განსაზღვრავს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს; და
- ე.წ. „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“[1] დანერგვა სპეციფიკურ ნარჩენებთან მიმართებაში.

ამ მიდგომების რეალურად ასამოქმედებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის მზაობა შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. მათ შორის: შესაბამისი ნარჩენების (ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, სპეციფიური ნარჩენები) იდენტიფიცირების უნარი, მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევა და სურვილი, კომპოსტირების პრაქტიკის ცოდნა და გამოყენება,

წარმოდგენილი კვლევა ძირითადად სწორედ ნარჩენების მართვის 2019 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი ეტაპებისთვის მოსახლეობის მზაობის დადგენას ემსახურება. დამატებით შეფასებულია ისეთი პარამეტრები, როგორიცაა ნარჩენების შემადგენლობა და რაოდენობა, ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები, ნარჩენების რეციკლირების ადგილობრივი შესაძლებლობები და გარემოს ფაქტორების (წყლისა და ნიადაგის) დაბინძურების მონიტორინგის არსებობა.

1. ნარჩენების იდენტიფიკაცია

ჩვენი გამოკითხვის პირველი ნაწილი მიმართული იყო იმის დადგენაზე, გაცნობიერებული აქვს თუ არა მოსახლეობას ნარჩენების სხვადასხვა ჯგუფების არსებობის ფაქტი და შეუძლია თუ არა მათი იდენტიფიცირება. კეძოდ, ჩვენი სამიზნე იყო ნარჩენების ორი ჯგუფი, რომლის იდენტიფიცირება მოსახლეობის მიერ გადამწყვეტია ნარჩენების სეპარაციის სისტემების ასაწყობად. ესენია:

- ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნარჩენები, რომელიც ექვემდებარება აერობულ თუ ანაერობულ დაშლას (სურსათის, ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო, ნაკელი და ა.შ.); და
- სპეციფიკური ნარჩენი - შეფუთვის ნარჩენები (პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო, ხე, ლითონი, მინა), ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, ხმარებიდან ამოღებული საბურავები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, გამოყენებული ზეთები, გამოყენებული ბატარეები და აკუმულატორები.

[1] მიდგომა ითვალისწინებს იმ პროდუქტების მწარმოებლების დავალდებულებას, რომელიც შემდგომ სპეციფიური ნარჩენი ხდება, უზრუნველყონ ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება.

2. ნარჩენების რაოდენობა და შემადგენლობა

ნარჩენების აღდგენის პროგრამების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ტიპის ნარჩენების რაოდენობაზე და ნარჩენების ერთიან მოცულობაში მათ წილობრივ შემცველობაზე. ჩვენი კითხვარის მეორე ნაწილი სამიზნე თემებსა და სოფლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის შეფასებას დავუთმეთ.

ნარჩენების შემადგენლობის დასადგენად რესპოდენტებს ვკითხეთ, თუ რომელ სეზონზე და კონკრეტულად რომელ თვეში ჰქონდათ ყველაზე მეტი ნარჩენი. ამ კითხვის დასმისას ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შემოდგომის სეზონზე ნარჩენები ძირითადად ეზოს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენებს წარმოადგენს. შესაბამისად, კითხვის შედეგები მოგვცემდა ირიბ ინფორმაციას ნარჩენების შემადგენლობის (ნარჩენების საერთო მასაში მცენარეული ნარჩენების წილის) შესახებ.

დამატებით, რესპოდენტებს აგრეთვე ვთხოვეთ შეეფასებინათ მათი ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენების რაოდენობა მთელი წლის მანძილზე. კითხვა ითვალისწინებდა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობის განსაზღვრას. თუმცა, გასაგებია, რომ შედეგები ზუსტ წონას ვერ ასახავს, ვინაიდან ბიოდეგრადირებადი ნარჩენის რეციკლირების პრაქტიკის (კომპოსტირება,შემგროვებელი პუნქტები, გადამამუშავებელი საწარმოები) სიმწირის გამო შინამეურნეობების უმრავლესობა ამ ნარჩენების აწონვას არ ახორციელებს.

3. ნარჩენების მოცილების არსებული პრაქტიკა

ნარჩენების მართვის რეფორმირებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა დასაგეგმად მოსახლეობის მიერ ნარჩენების მოშორების არსებული პრაქტიკისა და ჩვევების ცოდნა არსებითია.

კითხვარის მესამე ბლოკის მიზანი იყო დაგვედგინა, როგორია ბიოდეგრედირებადი და სპეციფიკური ნარჩენების მოშორების დღეს არსებული რეალური პრაქტიკა სამიზნე თემებში: ამ ნარჩენების რა წილი ხვდება ნარჩენების მოგროვება-გატანის ოფიციალურ სისტემაში და რა წილი - მოიხმარება ან გადამუშავდება შინამეურნეობების მიერ; რომელია ამ ნარჩენების შინამეურნეობების მიერ გამოყენების ან გადამუშავების ყველაზე გავრცელებული მეთოდები.

ამ მიზნით რესპოდენტებს შევთავაზეთ ნარჩენების მოშორების სხვადასხვა მეთოდების ჩამონათვალი და სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის ვთხოვეთ მიეთითებინათ ის მეთოდები (ერთი ან რამდენიმე), რომელსაც ამ ნარჩენის მოშორებისთვის იყენებდნენ. კითხვარში ჩამოთვლილ მეთოდებს შორის იყო ნარჩენების „გადაყრა“ რაც, ჩვენი ვარაუდით, გულისხმობს ამ ნარჩენების მოხვედრას ნარჩენების მოგროვება-გატანის ოფიციალურ სისტემაში.

4. ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება

ნარჩენის მეორადი მოხმარების თუ გადამუშავებისათვის აუცილებელია შინამეურნეობების მიერ ნარჩენების დახარისხება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათის და სხვა ბიოდეგრადირებადი ნარჩენის განცალკევებული შეგროვება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნარჩენების დანარჩენი მასის დაბინძურება ლპობადი კომპონენტებით, რაც მათ შემდგომ გადამუშავებას მნიშვნელოვნად ართულებს. გარდა ამისა, მცენარეული და სურსათის ნარჩენების გადამუშავება იოლად შესაძლებელია შინამეურნეობის პირობებში კომპოსტირების გზით, რაც ნარჩენების მოცულობასაც მნიშვნელოვნად ამცირებს და თავად შინამეურნეობისთვის სასარგებლო რესურსის (კომპოსტის) წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს.

კითხვარის ამ ბლოკში ჩვენი მიზანი იყო შეგვეფასებინა, მოსახლეობის რა ნაწილს გააჩნია ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების ჩვევა და რა გარემოებებით არის იგი განპირობებული. ამ მიზნით რესპოდენტებს ვეკითხებოდით, ახდენდა თუ არა იგი ნარჩენების დახარისხებას ან გადამუშავებას და იმის მიხედვით, მისი პასუხი დადებითი იყო თუ უარყოფითი, მას ვთხოვდით განემარტა ამ ქცევის მიზეზები. ამისათვის რესპოდენტს ვთავაზობდით პასუხების ხვადასხვა ვარიანტებს, საიდანაც შეეძლო აერჩია ერთზე მეტი პასუხი.

კითხვარის ამ ბლოკში ჩვენ აგრეთვე შევეცადეთ გაგვერკვია კონკრეტულად კომპოსტირების მეთოდის ცნობადობა მოსახლეობაში და ამ ინფორმაციის წყარო.

ბლოკის ბოლო კითხვა არკვევდა რესპოდენტისთვის ბიოდეგრადირებადი და სპეციფიკური ნარჩენების რეციკლირების სერვისების იოლ მიწვდომადობას.

5. ნარჩენები გარემოში

ნარჩენებისადმი გულისყურით მოპყრობა მოსახლეობაში სისუფთავის ჩვევასა და მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. თუმცა ხშირად მოსახლეობის მიერ „სისუფთავის“ აღქმა მის უშუალო სიახლოვეს ნარჩენების ხილვადობით შემოიფარგლება და არ ვრცელდება გარემოში (ხევებში, გზის პირებზე) თვითნებურად დაყრილ ნარჩენებზე ან გარემოს იმ უხილავ დაბინძურებაზე (წყლის, ჰაერის, ნიადაგის), რომელსაც ასეთი ნაგავსაყრელები იწვევს.

აღნიშნული ფაქტორების დასადგენად კითხვარში შევიდა კითხვები ტერიტორიის სისუფთავის და მასზე პასუხისმგებლობათა განაწილების თაობაზე. ცალკე კითხვები მიეძღვნა იმის დადგენას, მოიცავდა თუ არა „სისუფთავე“ გარემოში უნებართვოდ დახვავებულ ნარჩენებს და მათგან გარემოს ფაქტორების დაბინძურების საკითხებს. კერძოდ, რესპოდენტებს დაესვათ კითხვა, იყო თუ არა მათ თემში არალეგალური (სტიქიური) ნაგავსაყრელები, რამდენად საშიში იყო ისინი და მათი აზრით, მოწმდებოდა თუ არა ამ ნაგავსაყრელებიდან ჰაერის, ნიადაგის ან გრუნტის წყლების დაბინძურება.

6. ნარჩენების მოგროვება

ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების მოგროვება/გატანის მუნიციპალური სერვისები ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის ძირეულ კომპონენტს წარმოადგენს. ისინი არა მარტო ნარჩენების შეგროვებას უზრუნველყოფს, რაც მათი შემდგომი გადამუშავების ან გარემოსთვის უსაფრთხო განთავსების საფუძველია, არამედ აყალიბებს მუნიციპალური ტერიტორიების სისუფთავის ჩვევას და მოლოდინს საზოგადოებაში. ეს ხელს უწყობს გარემოს დანაგვიანების აღმოფხრისადმი მოსახლეობის პასუხისმგებლობის ზრდას და, შესაბამისად - ნარჩენებისადმი მეტი გულისყურით მოპყრობას.

კითხვარის ამ ბლოკის მიზანი იყო შეგვეფასებინა ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მოგროვების და გადამუშავების სერვისების ხელმისაწვდომობა. ამისათვის რესპოდენტებს შევთავაზეთ ამ სერვისების ჩამონათვალში მოენიშნათ ის სერვისები, რომლითაც რეალურად სარგებლობენ.

გამოკითხვის შედეგები

დემოგრაფიული ბლოკი

დიაგრამა 1,

გამოკითხულთა საერთო რაოდენობა



დიაგრამა 2.



დიაგრამა 3.



დიაგრამა 4.



გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა 10 წელზე მეტი ცხოვრობს ადგილზე.

1. ნარჩენების იდენტიფიკაცია

რესპოდენტებს დავუსვით შეკითხვები, თუ რამდენად სმენოდათ ბიოდეგრადირებადი და სპეციკური ნარჩენების შესახებ და კერძოდ რას წარმოადგენდა ეს ნარჩენები. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე:

დიაგრამა 1-1 ტერმინის ცნობადობა: "ბიოდეგრადირებადი ნარჩენი"



დიაგრამა 1-2 ტერმინის ცნობადობა: „სპეციფიკური ნარჩენი“



დიაგრამა 1-3 ბიოდეგრადირებადი ნარჩენების იდენტიფიცირება



დიაგრამა 1-4 სპეციფიკური ნარჩენების იდენტიფიცირება



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ტერმინის დონეზე მოსახლეობის დიდ ნაწილს ნარჩენების ამ ტიპების თაობაზე სმენია, თუმცა მათი იდენტიფიცირების უნარი განსხვავდება: ბიოდეგრადირებადი ნარჩენის შემთხვევაში გამოკითხულ რესპონდენტთა 72%-მა სწორად მოახდინა ნარჩენების იდენტიფიცირება, სპეციფიკური ნარჩენებიდან კი მოსახლეობისთვის მხოლოდ ავტომობილის საბურავებია ცნობილი (რესპონდენტთა დაახლოებით 25%). სხვა სპეციფიკური ნარჩენების მითითება რესპოდენტებმა ვერ შეძლეს.

2. ნარჩენების რაოდენობა და შემადგენლობა

რესპოდენტებს ვკითხეთ, თუ რომელ სეზონზე და კონკრეტულად რომელ თვეში გროვდება ყველაზე მეტი ნარჩენი. აგრეთვე ვთხოვეთ შეეფასებინათ წლის განმავლობაში სხვადასხვა სეზონზე მათ მიერ (მათ ეზოში და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე) წარმოქმნილი მცენარეული ნარჩენების რაოდენობა. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე:

დიაგრამა 2-1 ნარჩენების ოდენობა სეზონის მიხედვით



დიაგრამა 2-2 ნარჩენების ოდენობა თვეების მიხედვით



დიარგამაზე წარმოდგენილი ნარჩენების რაოდენობის სეზონური განაწილება გვიჩვენებს, რომ რესპოდენტების აზრით ნარჩენების ძირითადი მასა შემოდგომის თვეებში წარმოიქმნება, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტები ამ ნარჩენებში ძირითადად ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მცენარეულ ნარჩენებს მოიაზრებენ.

დიაგრამა 2-3 ეზოს ნარჩენების ოდენობა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპოდენტთა 40%-ს აზრით მათ ეზოში წელიწადში 100კგ-დან 1 ტონამდე ნარჩენი გროვდება. 100კგ-ზე ნაკლებად აფასებს ეზოს ნარჩენების წლიურ მოცულობას რესპოდენტების 20%, ხოლო, 1 ტონაზე მეტად - 6,5%.

დიაგრამა 2-4 სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენების ოდენობა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპოდენტთა 38% მიიჩნევს, რომ მათ სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე წელიწადში 50 კგ-დან 5 ტონამდე მცენარეული ნარჩენი წარმოიქმნება. რესპოდენტთა 5,44% მიიჩნევს რომ ამ ნარჩენების რაოდენობა 50კგ-ზე ნაკლებია, რესპოდენტთა 1% კი მიიჩნევს, რომ მათი რაოდენობა 5 ტონაზე მეტია.

3. ნარჩენების მოცილების არსებული პრაქტიკა

რესპოდენტების დაესვათ კითხვა მათ მიერ ბიოდეგრადირებადი და სპეციფიკური ნარჩენის მოცილების ჩვეული გზების თაობაზე. რესპოდენტებს შეეძლოთ აერჩიათ შემოთავაზებული პასუხებიდან რამდენიმე.

პასუხები ამგვარი გადანაწილდა:

დიაგრამა 3-1 საკვები ნარჩენის მოცილების ხერხები



დიაგრამიდან ჩანს, რომ საკვები ნარჩენების დიდი ნაწილი იყრება (რესპოდენტთა 55,7%). ადგილზე გამოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ცხოველთა საკვებად გამოყენება (რესპოდენტთა 35%). სასუქად გადამუშავება ან დაწვა შედარებით იშვიათია (1% და 6,3% შესაბამისად).

დიაგრამა 3-2 ნარჩენების მოცილება ეზოდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ნარჩენებს რესპოდენტთა თითქმის მეოთხედი ყრის. ადგილზე გადამუშავების მეთოდს უმეტესწილად ამ ნარჩენების ღია წვა წარმოადგენს (რესპოდენტთა 49,1%). ამ ნარჩენების ცხოველების საკვებად გამოყენება ან სასუქად გადამუშავება იშვიათია (7% და 11% შესაბამისად).

დიაგრამა 3-3 სპეციფიკური ნარჩენის (საბურავის) მოცილების ხერხები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, იმ რესპოდენტთაგან, ვისაც საბურავების ნარჩენები გააჩნია (რესპოდენტთა 79%), ნახევარზე მეტი მათ ყრის (47%), ხოლო 12,5% წვავს[2]. ნახმარ საბურავებს აღადგენს მათი მქონე რესპოდენტების 6,3%, ხოლო აბარებს - 0,8%.

4. ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება

შეკითხვაზე: „ახდენთ თუ არა ნარჩენების დახარისხებას და გადამუშავებას?“ რესპოდენტს უნდა აერჩია დადებითი ან უარყოფითი პასუხი. თითოეული პასუხის შემთხვევაში რესპოდენტს დამატებით სთხოვდნენ, აერჩია ამ ქცევის ჩამოთვლილი მიზეზებიდან მისთვის შესაბამისი. რესპოდენტს შეეძლო ერთზე მეტი მიზეზის არჩევა.

[2] სავარაუდოდ იგულისხმება ღია წვა

შედეგები მოცემულია დიაგრამებში:
რესპონდენტთა 54,7%-მა აღნიშნა რომ ახდენს ნარჩენების დახარისხებას, არ ახდენს გამოკითხულთა 39,4%. კითხვაზე პასუხი არ გასცა 5,8%-მა.

დიაგრამა 4 -1 შინამეურნეობებში ნარჩენების დახარისხების და გადამუშავების მიზეზები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 1/3 შემთხვევებში ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედების გაცნობიერებასთან არის დაკავშირებული, 40% შემთხვევებში კი ეს პრაქტიკა აგრეთვე სისუფთავის სიყვარულთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 4-2 შინამეურნეობების მიერ ნარჩენების დახარისხების და გადამუშავების გამოუყენებლობის მიზეზები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, იმ რესპოდენტების დაახლოებით მეხუთედი (18,8%), რომელიც ნარჩენებს არ ახარისხებს, თავის ამ ქცევას დახარისხების ჩვევის არარსებობით ხსნის. საკმაოდ მცირეა ისეთი

მიზეზების მითითება, როგორიცაა შესაბამისი პირობების, ინფორმაციის ან დროის არქონა (14%, 11%, 6,7%), აგრეთვე იმ გარემოების მოშველიება, რომ მას არავინ ავალდებულებს (11,14%).

რესპოდენტებს აგრეთვე დავუსვით კითხვა, სმენიათ თუ არა კომპოსტირების მეთოდის თაობაზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში მათ ვთხოვდით განემარტათ, თუ საიდან ქონდათ ინფორმაცია ამ მეთოდის შესახებ.

დიაგრამა 4-3 კომპოსტირების ცნობადობა



დიაგრამიდან ჩანს, რომ კომპოსტირების თაობაზე რესპოდენტების მხოლოდ 20%-ს სმენია.

დიაგრამა 4-4 კომპოსტირების თაობაზე ინფორმაციის წყარო



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ინფორმაციის ძირითადი წყარო შესაბამისი ტრენინგებია. ინფორმირების სხვა წყაროებია მედია, სკოლა, ეკოკლუბი და სოციალური ქსელები.

დიაგრამა 4-5 ნარჩენების რეციკლირების შესაძლებლობები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მცენარეული ან სპეციფიკური ნარჩენების რეციკლირების პრაქტიკის შესახებ გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 4,5% აღნიშნავს.

5. ნარჩენები გარემოში

ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, ადგილზე არსებული მდოგამრეობის შესაფასებლად კითხვარში შევიდა რამოდენიმე კითხვა: დაცულია თუ არა სისუფთავე თემში? არსებობს თუ არა არალეგალური ნაგავსაყრელები? ხდება თუ არა ნაგავსაყრელების რეგულარული შემოწმება? და წარმოადგენს თუ არა საფრთხეს არალეგალური, სტიქიურად მოწყობილი (მოსახლეობის მიერ თვითნებურად შერჩეული ტერიტორია, სადაც ხდება ნარჩენების უკონტროლოდ განთავსება) ნაგავსაყრელები ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

დიაგრამა 5-1 სისუფთავე თემში



დიაგრამა 5-2 პასუხისმგებლობა სისუფთავეზე



დიაგრამა 5-3 არალეგალური ნაგავსაყრელების არსებობა



დიაგრამა 5-4 არალეგალური ნაგავსაყრელების სახიფათოობა

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა უმრავლესობა 67% ადასტურებს არალეგალური (სტიქიური) ნაგავსაყრელების არსებობას მათ თემში, რომლებიც მათი აზრით (89%) საფრთხეს წარმოადგენს.

დიაგრამა 5-5 სტიქიური ნაგავსაყრელებიდან გარემოს ფაქტორების დაბინძურება



დიაგრამა აჩვენებს, რომ რესპოდენტთა 2/3-ს არ აქვს ინფორმაცია ნაგავსაყრელებიდან გარემოს ფაქტორების დაბინძურების მონიტორინგის შესახებ, ხოლო რესპოდენტთა 1/3 დარწმუნებულია, რომ ეს მონიტორინგი არ ხორციელდება.

6. ნარჩენების მოგროვება

კითხვაში, რომელიც ნარჩენების მოგროვებისა და გატანის სერვისებს შეეხებოდა, ჩამოთვლილი იყო კონკრეტული სერვისები და რესპონდენტებს უნდა მიეთითებინათ, რომელი მათგანით სარგებლობდნენ. რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ ერთზე მეტი პასუხი.

პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 6-1 ნარჩენების მოგროვება-გატანის სერვისები



როგორც პასუხებიდან ჩანს, რესპოდენტთა უმრავლესობისთვის (56,3%) უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ ნარჩენების რეგულარული გატანის სერვისი, მათი ნაწილისთვის (რესპოდენტთა 40%) - საკმარისი რაოდენობის სანაგვე კონტეინერების საშუალებით. ნარჩენების სეპარაციის ურნები ან ნარჩენების ჩაბარების/შეგროვების პუნქტები და გადამამუშავებელი საწარმოები რესპოდენტთა მცირე ნაწილსთვის არის ხელმისაწვდომი.

საგულისხმოა, რომ ე.წ. „დასუფთავების მოსაკრებელს“ (მუნიციპალიტეტების მიერ დაწესებული მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავების, ნარჩენების მოგროვება-გატანის და განთავსებისთვის) რესპოდენტთა მხოლოდ 7,6% იხდის.

დასკვნები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნარჩენების სხვადასხვა ტიპების (ბიოდეგრადირებადი, სპეციფიკური) არსებობის ფაქტი სამიზნე თემების მოსახლეობისთვის ცნობილია, თუმცა ამ ნარჩენების იდენტიფიცირება პრობლემატურია. მოსახლეობა ძირითადად სწორად ახდენს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების იდენტიფიცირებას, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა სპეციფიკურ ნარჩენებთან დაკავშირებით: რესპოდენტების მხოლოდ ¼-მა შეძლო სპეციფიკური ნარჩენების მხოლოდ ერთი სახეობის, საბურავების იდენტიფიცირება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტების აზრით ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უმეტესი წილი შემოდგომით წარმოიქმნება, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტები ამ ნარჩენებში ძირითადად ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მცენარეულ ნარჩენებს მოიაზრებენ. ეზოს ნარჩენების წლიური რაოდენობა თითოეული შინამეურნეობისთვის, რესპოდენტთა შეფასებით 1 ცენტნერიდან 1 ტონამდე შეადგენს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნარჩენებს, აქ დიაპაზონი კიდევ უფრო დიდია (50 კგ-დან 5 ტონამდე), რაც ბუნებრივია, ვინაიდან ამ ნარჩენების რაოდენობა შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული სავარგულების ფართზე და მათზე მოყვანილ კულტურებზეა დამოკიდებული. ამ ნარჩენების რაოდენობის თაობაზე უფრო ზუსტი მონაცემების მისაღებად იგი თითოეულ მუნიციპალიტეტში ზემოთ მითითებული პარამეტრების მიხედვით უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება მოსახლეობის მიერ ბიოდეგრადირებადი და სპეციფიკური ნარჩენების მოშორების დღეს არსებულ პრაქტიკას, გამოკითხვამ აჩვენა, რომ:

- მიზნობრივ სოფლებში საკვები ნარჩენების დიდი ნაწილი „იყრება“ (ეს პასუხი აირჩია რესპოდენტთა 55,7%-მა), ანუ ნარჩენების მოგროვება-გატანის სისტემაში ხვდება. თავად შინამეურნეობების მიერ ამ ნარჩენების გამოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ცხოველთა საკვებად გამოყენება (რესპოდენტთა 35%). შედარებით იშვიათია ამ ნარჩენების სასუქად გადამუშავება ან დაწვა (1% და 6,3% შესაბამისად).

- საგულისხმოა, რომ ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ნარჩენებს რესპოდენტთა თითქმის მეოთხედი ყრის. შესაბამისად, ამ ნარჩენების დიდი წილი ნარჩენების მოგროვება-გატანის სისტემებში არ ხვდება, არამედ ადგილზე გამოიყენება, გადამუშავდება ან ბუნებრივ ლპობას განიცდის. სამწუხაროდ ადგილზე გადამუშავების მეთოდს უმეტესწილად ამ ნარჩენების ღია წვა წარმოადგენს (რესპოდენტთა 49,1%). ამ ნარჩენების ცხოველების საკვებად გამოყენება ან სასუქად გადამუშავება იშვიათია (7% და 11% შესაბამისად).

- კვლევამ საშუალება მოგვცა აგრეთვე შეგვეფასებინა ნარჩენი საბურავების მოშორების პრაქტიკა: რესპოდენტთა მეხუთედს (21%) ასეთი ნარჩენები არ გააჩნია. რესპოდენტების მესამედზე მეტმა განაცხადა, რომ ამ ნარჩენებს „ყრის 0